



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№335 2017 წლის 23 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან
თანხის გამოყოფის შესახებ

„სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №381 დადგენილების შესაბამისად, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით, „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გამოეყოს 292 833 (ორას ოთხმოცდათორმეტი ათას რვაას ოცდაცამეტი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი

